საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: მედია და ახალი ტექნოლოგიები **"Media and New Technology"**

ბ) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჟურნალისტიკის მაგისტრი (Master of Arts in Journalism)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა – ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, რაც ქართულ მედიას შემატებს განათლებულ, პროფესიული ჩვევების თვალსაზრისით კარგად მომზადებულ, კონკურენტუნარიან კადრს, რომლისათვისაც ჟურნალისტობა გაცნობიერებული არჩევანი იქნება.

სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატის დამთავრებულთათვის, ვინც გადაწყვეტს ახალ პროფესიად ჟურნალისტობის არჩევას. პროგრამის მიზანია ამ ადამიანებს შეასწავლოს ჟურნალისტიკა და გამოუმუშავოს მათ პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები თანამედროვე, მულტიმედიური ჟურნალისტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით. ის სპეციალური ცოდნა, რაც სწავლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში, შეიძინეს, ხელს შეუწყობს დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარებას. პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ასევე ახალი ტექნოლოგიების გაძლიერებულად სწავლება, რადგან საქართველოშიც ინტერნტემედიის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო მეტად პოპულარული ხდება მულტიმედიური ჟურნალისტიკა, რომელიც აერთიანებს ტექსტურ და ვიდეო თუ აუდიოპროდუქციას. თანამედროვე დასავლურ სამყაროში ხშირად საუბრობენ მედიის კონვერგენციაზე ანუ პროცესზე, როცა იშლება მიჯნა მედიის სხვადასხვა სახეებს შორის. ამდენად, თანამედროვე ჟურნალისტიკის სწავლება თითქმის წარმოუდგენელია ვებტექნოლოგიების გარეშე.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება, როგორ მოიპოვოს, დაამუშავოს, და გაავრცელოს ინფორმაცია; როგორ მოამზადოს ტელე თუ რადიო გადაცემა; როგორ შექმნას გაზეთისა თუ ჟურნალის კონცეფცია და როგორ წეროს ეფექტურად მედიის ამა თუ იმ სახეობისთვის. თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტები დაეუფლებიან პროფესიული ეთიკის ნორმებსა და მედია სამართლის პრინციპებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ სამაუწყებლო თუ ბეჭდურ მედიაპროდუქციის წარმოებაში ეფექტურ მონაწილეობას. პრაქტიკულად შეძლებენ სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტის მომზადებას, ვიდეო თუ აუდიო მასალის დამუშავებას, მონტაჟს,

გადაცემის დამოუკიდებლად აწყობას; ახალი გაზეთისა თუ ჟურნალისათვის კონცეფციის შექმნას, აუდიტორიის კვლევას მედია პროდუქტის დასაფუძნებლად; თემების დაგეგმვას, სტატიების წერას, რედაქტირებას და ა.შ.
სწავლის დასრულების შემდეგ, მაგისტრი პრაქტიკულად შეძლებს ვებტექნოლოგიების გამოყენებით ახალი მედია ორგანიზაციის - ინტერნეტრადიოს, ინტერნეტტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა თუ ინტერნეტჟურნალის დაფუძნებას. საბოლოო შედეგი თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მულტიმედიური ჟურნალისტია, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს საკუთარი ნამუშევრის (ტექსტურ, ვიდეო თუ აუდიო) ინტერნეტში განთავსებას.

პროგრამის კურსამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ როგორც ნებისმიერი სახის მედია ორგანიზაციაში - ბეჭდურ, სამაუწყებლო თუ ონლაინმედიაში; საინფორმაციო სააგენტოებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში; რეგიონულ მედიაში და ა.შ.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი საუნივერსიტეტო განათლება მაინც ნებისმიერ სფეროში (გარდა ჟურნალისტიკისა) ანუ ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომირებული სპეციალისტის სტატუსი.

1. წერილობითი გამოცდა, რომელიც იქნება ესსეს ფორმის (რადგან მაგისტრატურაში სწავლის მსურველი დამწყებია ჟურნალისტიკაში, არ ვითხოვთ გამოცდის ჩაბარებას ჟურნალისტიკის რომელიმე დისციპლინაში);

2. გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (მოტივაცია და ინგლისური ენის ცოდნის შემოწმება).

საგამოცდო და გასაუბრების საკითხები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირთათვის თსუ–ის და ფაკულტეტის ვებგვერდებზე *https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/media%20da%20ax.%20teq.%202016.pdf*

ზ) სწავლის შედეგი;
სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრმა იცის, როგორ მოიპოვოს, დაამუშავოს, გაავრცელოს და შეინახოს ინფორმაცია. როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან. მაგისტრს ექნება საკმარისი კომპეტენცია, რათა ძალიან მალე გაიაროს ადაპტაცია გაზეთში, ჟურნალში, რადიოში, ტელევიზიასა თუ ინტერნეტ-გამოცემაში მუშაობის დაწყებისას. იცის თითოეული მათგანისათვის საჭირო წერა. იცნობს მედია ორგანიზაციის მართვასა და სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციებს; ფლობს მულტიმედიაჟურნალისტისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, მას აქვს სპეციალური ცოდნა, რომელიც წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის გავლამდე მიიღო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც ჟურნალისტის გარკვევას ადამიანური საქმიანობის კონკრეტულ სფეროში და წაახალისებს საქართველოში დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრმა იცის, როგორ მოიპოვოს, დაამუშავოს, გაავრცელოს და შეინახოს ინფორმაცია, როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან; ღრმად გაცნობიერებული აქვს მედია სისტემების როლი დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; ასევე ღრმად გაცნობიერებული აქვს ტექნოლოგიების როლი მედიის ამა თუ იმ სახეობასთან მიმართებით. ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებული ფლობს ჟურნალისტის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკის ნორმებს. მაგისტრს აქვს საკმარისი კომპეტენცია, იმისათვის, რომ პროგრამის დასრულებისთანავე სრულფასოვნად ჩაერთოს გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის თუ ინტერნეტგამოცემების მუშაობის პროცესში; ათვისებული აქვს თითოეული მათგანისათვის საჭირო წერის ტექნიკა; გაეცნობა მედია ორგანიზაციის მართვასა და სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციებს. გარდა ამისა, მას აქვს სპეციალური ცოდნა, რომელიც წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის გავლამდე მიიღო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. ეს კი ხელს შეუწყობს დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარებას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	აქვს დებატებში მონაწილეობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი, რასაც შემდგომ ჟურნალისტური პროდუქციის შექმნისას გამოიყენებს; აქ ვს უნარი მედიის სხვადასხვა სახის დასაფუძნებლად განახორციელოს კვლევითი პროექტები; პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მედიაპროდუქციის წარმოების უნარები; ფლობს მულტიმედიაჟურნალისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ფლობს ხმის, გამოსახულების, წერილობითი თუ ზეპირი სიტყვის მეშვეობით პროდუქციის ეფექტურად დემონსტრირების უნარი; ფლობის მედია შეტყობინების (მესიჯების) შექმნის უნარი. პრაქტიკულად შეუძლია კომპეტენციების დემონსტრირება მედიის ამა თუ იმ სახეობაში;

	პრაქტიკულად შეუძლია ვებტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტრადიოს, ინტერნეტ-ტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა თუ ინტერნეტჟურნალის დაფუძნება. აქვს ინოვაციური და წარმოსახვითი უნარები; შეუძლია შემოქმედებითი იდეების დემონსტრირება, რაც დაეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კონცეფციებსა თუ სტრატეგიებს. კურსდამთავრებულს შეუძლია შემოქმედებითი მუშაობა სხვადასხვა ფორმით – წერილობით თუ ზეპირად, ხმასთან და გამოსახულებასთან; ფლობს ადაპტაციის უნარს, რათა შემოქმედებითად შეძლოს პროდუქციის მომზადება სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიისათვის და მედიის ამა თუ იმ სახისათვის. ფლობს ისეთ უნარებს, როგორიცაა: გამართულად წერისა და ეფექტურად საუბრის უნარი; სხარტად და შემოქმედებითად მუშაობის უნარი; იდეებისა და ინფორმაციების შეგროვებისა და ორგანიზების უნარი; ინფორმაციების ძიების, გადამოწმებისა და მომზადების უნარი; ინფორმაციის წყაროთა განსაზღვრის უნარი; რესპონდენტებთან კორექტული ურთიერთობების დამყარების უნარი; არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და მათი ეფექტურად გამოხატვა, როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად ან სხვა ფორმებით; ფორმატის, მოცულობისა და დედლაინის გათვალისწინებით მასალათა მომზადების უნარი; ციფრული ტექნოლოგიებისა და აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენების უნარი; ვებგვერდების კეთების უნარი; გუნდში ეფექტურად მუშაობისა და პასუხისმგებლობის განაწილების უნარი.
კომუნიკაციის უნარი:	კურსდამთავრებული ფლობს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციიის უნარს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

	ფლობს რესპონდენტებთან კორექტული ურთიერთობების დამყარების უნარს; შეუძლია არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და მათი ეფექტურად გამოხატვა, როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად ან სხვა ფორმებით;
დასკვნის უნარი	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი; შეუძლია ანალიზისა და თვალსაზრის წარმოდგენა ანალიტიკურ სტატიებსა თუ ტელერადიოგადაცემებში; შეუძლია არგუმენტების მკაფიოდ და დამაჯერებლად ფორმულირება და წარმოდგენა მედიის სხვადასხვა საშუალების სპეციფიკის გათვალისწინებით; კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; აქვს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
სწავლის უნარი	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ცოდნის განახლებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობის უნარი. შეუძლია მულტიმედიური ჟურნალისტიკის ახალი საშუალებების ათვისება. შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება და შესწავლა - ახალი სამონტაჟო თუ სხვა სახის კომპიუტერული პროგრამების დაუფლება და ა.შ. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს სწავლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში.
ღირებულებები:	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, პრაქტიკულ მუშაობაში მაგისტრები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დაცვა; სხვადასხვა კულტურული ჯგუფის მრავალფეროვნების გაშუქება; მიუკერძოებლობისა და ბალანსის დაცვა; ადამიანის უფლებების პატივისცემა; ე.წ. „სიძულვილის ენის“ არ გამოვლენა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტ ჟურნალისტთა მიერ პრაქტიკული დავალებების (ნიუსების, სტატიების, ინტერვიუებისა თუ რეპორტაჟების) შესრულებას და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს ესსესა თუ რეფერატის დაწერას.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ელექტრონული სწავლებით - შერეული ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს საუდიტორიოო მეცადინეობებს, არამედ მისი მეშვეობით პროფესორი ამრავლფეროვნებს კურსს. პროფესორი ელექტრონულ პორტალზე ანთავსებს სასწავლო მასალებს, პრეზენტაციებს; სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო ფაილებს; იყენებს სასწავლო ფორუმებს, როგორც სტუდენტთა დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას; მიმართავს ელექტრონულ ტესტირებას, როგორც შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმას;

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

წიგნზე მუშაობის მეთოდი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს - მაგალითებს მედიიდან, რომლებსაც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჟურნალისტატის.

როლური და სიტუაციური თამაშები - თოქშოუების თუ ინტერვიუების ფორმით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

სამაგისტრო პროგრამა ემყარება ცალკეულ საგანთა კონცეპტუალურ ერთობლიობას. პირველ სემესტრში სტუდენტებს შევთავაზებთ უპირატესად საბაზო დისციპლინებს, რომელთა დაუფლება ხელს შეუწყობს მომდევნო ორი სემესტრის საგანთა უკეთ ათვისებასა და მედიის ფუნქციონირებაში გარკვევას. ახალი ამბების ჟურნალისტიკას, მედია სამართალს და თვითრეგულირებას, ასევე ინოვაციებთან და

ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს; დაეუფლებიან მენეჯმენტსა და მედიამენეჯმენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯმენტს. მეორე და მესამე სემესტრებში სტუდენტები შეისწავლიან გაზეთის, ჟურნალის, სატელევიზიო და რადიო პროდუქციის წარმოებას, ინტერნეტ მედიისათვის გამიზნულ წერას. ***ბოლო, მეოთხე სემესტრში სტუდენტებმა უნდა განახორციელონ სამაგისტრო ნაშრომი ან პროექტი (პროექტის შემთხვევაში, 30 კრედიტი– 10 კრედიტი ეთმობა კვლევას, ხოლო 20 კრედიტი ინდივინდუალური ან გუნდური მედია პროდუქტის შექმნას), ინტერნეტგაზეთი, ინტერნეტჟურნალი, ინტენეტრადიო თუ ინტერნეტტელევიზია, რაც გულისხმობს მედია ორგანიზაციის დაფუძნებისა და ამოქმედების გეგმის შედგენა-ხორცშესხმას, კონცეფციის მომზადებას, კვლევას და პროდუქციის პრაქტიკულად განხორციელებას.*** (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართში).

სასწავლო გეგმა:
იხ. დანართი

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი დალი ოსეფაშვილი;

მ) დასაქმების სფეროები: მაგისტრატურის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველა სახის მედიაში, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ კერძო მედია ორგანიზაციები.

ნ) დამატებითი ინფორმაცია
პრაქტიკულ ჟურნალისტიკაზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა ჟურნალისტიკაში ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებში. სამაგისტრო პროგრამას ირჩევს ბევრი ბაკალავრი, რომელსაც საუნივერსიტეტო განათლების პირველ სტადიაზე ჟურნალისტიკა არ შეუსწავლია.

ზუსტ ანალოგს არ წარმოადგენს, მაგრამ წინამდებარე პროგრამის მსგავსი პროგრამები აქვთ მერილენდის უნივერსიტეტში, კოლუმბიის უნივერსიტეტში და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში http://journalism.nyu.edu/ მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტში www.uni-lmu.de

2. დანართები:

გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის:
პროგრამის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად გამოყენებულია თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული მატერიალური რესურსი. მათ შორის: აუდიტორიები, მულტიმედია ცენტრი, ნიუსრუმი, პრეპრინტის ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი და სხვ.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **მიმართულება:** ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: „მედია და ახალი ტექნოლოგიები“

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: რევაზ ჭიჭინაძე, ასოცირებული პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: დადგენილება №57/2011, დანართი 46

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №16/2012-1 მარტი, 2012; დადგენილება №38/2012-28 მაისი, 2012; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)										
სავალდებულო კურსები– 50 კრედიტი (ECTS) + არჩევითი 30 კრედიტი (შემოთავაზებული 73 კრედიტიდან) + თავისუფალი კრედიტი –10 კრედიტი (ECTS)+სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)										
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	მუალედური და დასკვნითი გამოცდის საათები	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი პრაქტიკუმი				შემოდგომა	გაზაფხული	
I სემესტრი:										
სავალდებულო საგნები:										
1	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	6	30	30	85	5	წინაპირობის გარეშე	✓		პროფ. დალი ოსეფაშვილი
2	მედია სამართალი და სამაუწყებლო პლატფორმების რეგულაცია	4	15	15	65	5	წინაპირობის გარეშე	✓		უჩა სეთური
3	ინტერნეტმედია	5	15	30	75	5	წინაპირობის გარეშე	✓		ასოც. პროფ. ნათია კუპრაშვილი
არჩევითი საგნები:										
4	ტექნოლოგიები და ინოვაციური მენეჯმენტი	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		დოქტ. იოსებ მასურაშვილი
5	მედიაეკონომიკა	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		ასოც. პროფ. რუსუდან ვაშაკიძე სოფიო მგალობლიშვილი

6	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი და კვლევა	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		პროფ. მარიამ გერსამია
7	ვიზუალური კომუნიკაცია	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		ასისტ. პროფ. ხათუნა კაჭარავა; თათია ქართლელიშვილი; მირანდა გიორგაშვილი;
8	მედია და ინოვაციები	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		ეკატერინე ფირცხალავა
9	თავისუფალი კრედიტი	5	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან							
II სემესტრი:										
სავალდებულო საგნები:										
10	მედიის კვლევის მეთოდები	5	30	15	75	5	წინაპირობის გარეშე		✓	პროფ. დალი ოსეფაშვილი
11	ტელე გადაცემის მომზადება	6	30	30/15	70	5	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	ასოც.პროფ. ნინო ჭალაგანიძე
12	Web. 2.0. და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ჟურნალისტებისთვის	4	15	15	65	5	წინაპირობის გარეშე		✓	დოქტ. შოთა ბარბაქაძე
13	მულტიმედია ჟურნალისტიკა	5	15	15	88	7	წინაპირობის გარეშე		✓	ეკატერინე ფირცხალავა
არჩევითი საგნები:										
14	მედიასისტემები და თეორიები	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე		✓	პროფ. დალი ოსეფაშვილი
15	დღის წესრიგის კონტროლი პოლიტიკასა და მედიაში	5	15	15	89	6	წინაპირობის გარეშე		✓	პროფ. მარინა მუსხელიშვილი
16	ანალიზის და მოსაზრების წერა	5	15	15	90	5	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	ასოც. პროფ. მარი წერეთელი პროფ. მარიამ გერსამია
17	ბიზნეს კომუნიკაციები	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე		✓	დოქტ. იოსებ მასურაშვილი
III სემესტრი:										

სავალდებულო საგნები:										
18	რადიოგადაცემის მომზადება ***(პრაქტიკული კურსი, რომელიც იკითხება რადიო „თავისუფლებაში“)***	4	15	30	50	5	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		დოქტ. მარინა ვაშაყმაძე
19	წერა ჟურნალისთვის	5	15	15	90	5	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		პროფ. დალი ოსეფაშვილი
20	გაზეთის წარმოება *(პრაქტიკული ნაწილი იკითხება გაზეთი „რეზონანსში“)*	6	15	60	70	5	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		ასისტ. პროფ. ლაშა ტუღუში
21	თავისუფალი კრედიტი	5	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან							
არჩევითი კურსები:										
22	მეცნიერების, განათლებისა და ტექნოლოგიების საკითხების გაშუქება	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		პროფ. მარიამ გერსამია თამარ კაკუტია
23	საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა	5	15	30	75	5	წინაპირობის გარეშე	✓		ასისტ. პროფ. მაგდა მემანიშვილი
24	რეკლამა მედიაში	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		ასოც. პროფ. ნინო ჭალაგანიძე
25	მეტყველების კულტურა	5	15	15	90	5	წინაპირობის გარეშე	✓		მარიამ კობახიძე
	IV სემესტრი:							✓		
	სამაგისტრო ნაშრომი ან პროექტი	**30**						✓		

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტი

დანართი

„მედია და ახალი ტექნოლოგიების პროგრამის“
სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

სამაგისტრო პროექტი	**მაქს. 60 ქულა**
1. რეცენზენტის შეფასება	**მაქს. 60 ქულა**
1.1.კვლევითი კომპონენტი: ➢ აქტუალობა და სიახლე - 10 ქულა; ➢ ანალიზისა და დასკვნის უნარი - 10 ქულა; ➢ ენა და სტილი - 10 ქულა.	**30 ქულა**

1.2. პრაქტიკული პროდუქტი: ➢ შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა ➢ ობიექტურობა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტე - 10 ქულა ➢ ინფორმაციის წყაროები - 5 ქულა ➢ ენა და სტილი - 5 ქულა	**30 ქულა**
2. ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) **(ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის დროს)**	**მაქს. 40 ქულა** (დადებითი შეფასება მინიმ. 21 ქულა)
ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე ➢ მასალის ფლობა –10ქულა ➢ ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –5ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა ➢ კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა	მაქს. 35 ქულა
ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	მაქს. 5
ნაშრომის საბოლოო შეფასება (რეცენზენტის ქულა+კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება)	**მაქს. 100 ქულა** (დადებითი შეფასება მინიმუმ 51 ქულა)